**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

27/09/2024

MES 0 24 0001221715

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის 2^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^2 -ე მუხლის 3^1 პუნქტის, 56^3 -ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „დ“ და ,,ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს (ს/კ:204886454) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 400-ით.
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდოს 3 წლის ვადით.
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი).
4.გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 13 სექტემბერს.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 სექტემბრის №1221637 სხდომის ოქმის №02 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ

ეროვნული
ფასამეხსმეღის
ელექტრონული

დანართი: დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ECTS	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი// კოდი 120/ნ კვალიფიკაციების მიხედვით	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული, აკრედიტებული, პირობით აკრედიტებული, საერთაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების ნომერი	შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი
1.	სამართალი	ბაკალავრიატი	ქართული	სამართლის ბაკალავრი	240	0421 სამართალი	აკრედიტებული	№ 268061	3/5/2021
2.	ჟურნალისტიკა	ბაკალავრიატი	ქართული	ჟურნალისტიკის ბაკალავრი	240	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა	აკრედიტებული	№1233703	11/16/2021
3.	ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	ქართული	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი	240	ენის დაუფლება 0231	აკრედიტებული	№ 159368	2/10/2023
4.	ბიზნეს ადმინისტრირება	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	02 - ბიზნესის ადმინისტრირება	აკრედიტებული	№81	7/18/2018
5.	ტურიზმი	ბაკალავრიატი	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი	240	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება	აკრედიტებული	№181	10/11/2019
6.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ბაკალავრიატი	ქართული	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი	240	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება	აკრედიტებული	№ 31112	12/29/2020
7.	საერთაშორისო ურთიერთობები	ბაკალავრიატი	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	240	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები	აკრედიტებული	№ 50;	8/3/2017

8.	სამართალი	მაგისტრატურა	ქართული	სამართლის მაგისტრი	120	0421 სამართალი	აკრედიტებული	№268094	3/5/2021
9.	ჟურნალისტიკა	მაგისტრატურა	ქართული	ჟურნალისტიკის მაგისტრი	120	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა	აკრედიტებული	№1233704	11/16/2021
10.	ბიზნეს ადმინისტრირება	მაგისტრატურა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120	02 - ბიზნესის ადმინისტრირება	აკრედიტებული	№ 129	6/13/2019
11.	საერთაშორისო ურთიერთობები	მაგისტრატურა	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი	120	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები	აკრედიტებული	№51	8/3/2017
12.	მედიცინა	დოქტორანტურა	ქართული	მედიცინის დოქტორი	180	0912 მედიცინა	აკრედიტებული	№ 896840	9/11/2020
13.	ეკონომიკა	დოქტორანტურა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი	50	0311 ეკონომიკა	აკრედიტებული	№ 1261876	11/24/2021
14.	სამართალი	დოქტორანტურა	ქართული	სამართლის დოქტორი	55	0421 სამართალი	აკრედიტებული	№ 728035	7/20/2021
15.	სტომატოლოგია	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	0911 დენტალური მედიცინა	აკრედიტებული	№798808	8/24/2020
16.	მედიცინა	ერთსაფეხურიანი	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი	360	0912 მედიცინა	ახალი (მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სააკრედიტაციო განაცხადთან დაკავშირებით)	_	_